თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბ-ნ არისი ბოჭოიძეს
შპს „გალერეა დიდუბე"-ს
დირექტორის იოსებ კენჭაძის
მობ. 557 57 88 13

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო არის,

ჩვენს კომპანიას თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან მიღებული აქვს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. №1-ში მდებარე და შპს „გალერეა დიდუბე"-ს საკუთრებაში არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე (ფუნქცია: სავაჭრო საგამოფენო ცენტრი) „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" (№1802, 29.11.11 წ).

კომპანიის ხელმძღვანელობამ ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად დაადგინა: ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა თავისი შიდა არაერთგვაროვანი პარამეტრებით (განსხვავებული ბიჯები, სხვადასხვა კვეთის კოლონები) რეკონსტრუქციის შედეგად ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, რაც განსაკუთრებით შენობის ინტერიერზე აისახება, შესაძლებლად მივიჩნიეთ არსებული შენობის სრული დემონტაჟი, რაც საშუალებას მოგვცემს თავისუფალ არეალში ვაწარმოოთ ახალი მშენებლობისათვის გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოები, რა თქმა უნდა ახალი პროექტისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის საფუძველზე.

ფუნქცია: საგამოფენო – სავაჭრო.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ გააუქმოთ არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე ადრე გაცემული „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" და მოგვცეთ ახალი მშენებლობისათვის გათვალისწინებული „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები."

პატივისცემით,

შპს „გალერეა დიდუბე"-ს
დირექტორი: ი. კენჭაძე